ოქმი #5

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2023 წლის 6 მარტის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), გ. ბერიკელაშვილი, თ. ბუჩუკური, მ. ელიაშვილი, ხ. ინასარიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, მ. მანია, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, ს. ხარიბეგაშვილი, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატურის შერჩევა.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ 2023 წლის 27 თებერვალს შემოვიდა თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს აპარატის უფროსის წერილი # 5093/10 (აღნიშნული წერილი ოქმს თან ერთვის), სადაც ნათქვამია, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის # 80/2020 დადგენილებით დამტკიცებულ თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს არსებულ შემადგენლობას 2023 წლის 6 მარტს ამოეწურა უფლებამოსილების ვადა, და საჭიროა ახალი კანდიდატურის წარდგენა.

ნ. ფარცვანიამ აღნიშნა, რომ თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატურის შერჩევისას უნდა ვისარგებლოთ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2018 წლის 23 მაისს (ოქმი # 2) განსაზღვრული კანდიდატურების შერჩევის კრიტერიუმებითა და წესით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისათვის წარსადგენი კანდიდატურების შესარჩევად განსაზღვრულია შემდეგი კრიტერიუმები: კანდიდატურა უნდა იყოს ფართო სპექტრის მეცნიერი, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 20 მაინც რეიტინგული სტატია, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში. კანდიდატურების შერჩევის წესი განსაზღვრულია შემდეგნაირად: დასახელებული კანდიდატურებისთვის ხმის მიცემა ჩატარდეს ღია კენჭისყრით. გამარჯვებულად ჩაითვალოს ის კანდიდატურა, რომელიც მიიღეს დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტს.

თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობისთვის **დასახელდა 1 კანდიდატურა:** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **თორნიკე ქადეიშვილი.**

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: თორნიკე ქადეიშვილი: მომხრე - 15, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: 1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატად შერჩეულ იქნა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრია-ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **თორნიკე ქადეიშვილი;** 2) თ. ქადეიშვილის კანდიდატურა განსახილველად წარედგინოს თსუ რექტორს.

საბჭოს თავმჯდომარე — თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი — ო. ჯოხაძე

N 5093/10 27/02/2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფაკულტეტების დეკანებს,
დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დირექტორებს

მოგეხსენებათ, რომ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის №80/2020 დადგენილებით დამტკიცებულ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს არსებულ შემადგენლობას უფლებამოსილების ვადა ეწურება 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაწყებამდე, ანუ 6 მარტს.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრის კანდიდატურა.

დალი კანდელაკი

აპარატის უფროსი
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო